საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის თებერვალი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის თებერვლის თვეში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2022 წლის 01 თებერვალს „ზოგადი განათლების შესახებ“ შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ღ[4]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ღ[4]) მასწავლებლობის მაძიებელი – პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში) და რომელიც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, არაუმეტეს 2 წლისა დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;“.

2. 21[3] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონის 21[2] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; ამასთანავე, სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ან/და სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020517

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №№999

2022 წლის 01 თებერვალს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. თუ მცირე ბიზნესი განახორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაეკისრება ჯარიმა, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს იმ კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელშიც პირმა დაიწყო აკრძალული საქმიანობა ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის დაეკისრა სამი ჯარიმა.“.

ამავე ბრძანებით დამატებულ იქნა „მაგალითი 3“, რომლითაც განსაზღვრა პირობა, ანალიზი და შედეგი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200230040.22.033.017550

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №487 ბრძანება

2022 წლის 7 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების სპორადული რეგისტრაცია წარმოებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაინტერესებული პირის განცხადების, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზისა და მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად.“.

2. 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. სპორადული რეგისტრაციის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტებასა და ცვლილებას სააგენტო ახორციელებს დაინტერესებული პირის განცხადების, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზისა და მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას.“.

3. 31-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. თუ სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში სპორადული რეგისტრაციისთვის დადგენილი წესით წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას საკადასტრო აღწერის შედეგებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შეჯერებით დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ობიექტი სრულად ან ნაწილობრივ არ არის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, დაინტერესებული პირის თანხმობით, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხს განიხილავს სააგენტო, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.“.

4. 34-ე და 35-ე მუხლები ამოღებულ იქნა.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

5. ინსტრუქციას დაემატა IV[1] თავი, რომელიც განსაზღვრავს მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის უფლების დამდგენ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენასა და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.22.027.017297

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის №14/37 ბრძანება

2022 წლის 8 თებერვალს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) ამზადებს სტრუქტურული ერთეულის წლიურ სამოქმედო გეგმას და მისი შესრულების ანგარიშებს;“.

2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დ.ზ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობის სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების მომზადებას, ასევე ახორციელებს სამსახურის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს;“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010230000.58.070.016086

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №996

2022 წლის 8 თებერვალს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც გულისხმობს აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას, აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსებას და ა.შ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017552

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №32/04 ბრძანება

2022 წლის 17 თებერვალს „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით განისაზღვრა ტერმინთა განმარტება, ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება მომხმარებლებისათვის საფინანსო პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდება, ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები მომხმარებლებთან სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულების გაფორმებისას – ხელშეკრულების თავსართი, ფინანსური ორგანიზაციის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ვალდებულებები მომხმარებლებთან სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულების გაფორმებისას – ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია და ა.შ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020000.18.011.016611

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №14/04 ბრძანება

2022 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016610

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №194/04

2022 წლის 17 თებერვალს განისაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010010.18.011.016612

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №41

2022 წლის 18 თებერვალს „ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში თანხის ანგარიშზე შეტანის და ანგარიშიდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 თებერვლის №41 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოთამაშე – „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით, გარდა, ამავე კანონის მე-3 მუხლის „ბ[1]“ და „ბ[3]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა;“.

2. მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) არ დაუშვება მოთამაშის მიერ მისი სათამაშო ანგარიშიდან სხვა მოთამაშის სათამაშო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა/გადატანა;“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017554

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №180

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2022 წლის 18 თებერვალს ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების დაშვებული სახეების დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 1 ივნისის N180 ბრძანება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017555

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №243

2022 წლის 21 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის №243 ბრძანებით დამტკიცებულ „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მოთხოვნებში/სტანდარტებში“ (დანართი №1) შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოში მოთამაშის მინიმალური დაშვებული ასაკი საქართველოს მოქალაქის და უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, მათი ანგარიშების შეჩერება/დაბლოკვის შესახებ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017557

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №43

2022 წლის 22 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 თებერვლის №43 ბრძანებით განისაზღვრა „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017558

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება №54

2022 წლის 23 თებერვალს დამტკიცდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ თამაშობის მოწყობის ადგილზე შესულ პირთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017559

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 4 თებერვალს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და განისაზღვრა: ნებისმიერი ტიპის გასართობი, სახელოვნებო, საფესტივალო და კულტურული (გარდა სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათისა) ღონისძიების ჩატარება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023261

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2022 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ამავე დადგენილებაში 2022 წლის 10 თებერვალს შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის საფუძველზე შეიცვალა „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023273

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 10 თებერვლიდან.

ამავე დადგენილებაში 2022 წლის 28 თებერვალს შევიდა ცვლილებები და განისაზღვრა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023299

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდა 2022 წლის 15 მარტიდან.

დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდა 2022 წლის 4 მარტიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №86

2022 წლის 23 თებერვალს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონის საფუძველზე განისაზღვრა აკრძალულ პირთა სიის წარმოების წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.10.003.023294

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge